

## მე-9 კლასი

### ძირითადი დავალებები (50 ქულა)

- იპოვეთ 1323-ის მარტივ გამყოფთა საშუალო არითმეტიკული. (4 ქულა)  
A) 3 B) 4 C) 5
- ფიბონაჩის მიმდევრობა ეწოდება ისეთ მიმდევრობას, რომელშიც მომდევნო რიცხვი მისი წინა ორი რიცხვის ჯამის ტოლია. ამ მიმდევრობის პირველი ორი წევრია შესაბამისად 0 და 1. იპოვეთ პირველი შვიდი წევრის ჯამი. (4 ქულა)  
A) 11 B) 8 C) 20
- 24-დან მოყოლებული ხუთი მომდევნო რიცხვი ერთმანეთზე გადაამრავლეს, შემდეგ შეამცირეს 99-ით. მიღებული რიცხვი აუცილებლად: (4 ქულა)  
A) კენტია B) ლუწია C) 5-ის ჯერადია
- უმცირესი რიცხვი, რომელიც 6-ზე, 8-ზე და 9-ზე გაყოფისას ნაშთს გვაძლევს 5-ს, არის (5 ქულა)  
A) 149 B) 77 C) 72
- ხუთკუთხედში ოთხი კუთხის გრადუსული ზომებია:  $74^\circ$ ,  $135^\circ$ ,  $95^\circ$ ,  $136^\circ$ . რისი ტოლია დარჩენილი მეხუთე კუთხის გრადუსული ზომა? (5 ქულა)  
A)  $60^\circ$  B)  $100^\circ$  C)  $140^\circ$
- მოცემული გვაქვს ABC სამკუთხედი, რომლის გვერდების სიგრძეებია: 13სმ, 27სმ და 14სმ. B წვეროდან დაშვებულია 16სმ სიგრძის სიმაღლე 27 სანტიმეტრიან გვერდზე. იპოვეთ სამკუთხედის ფართობი (5 ქულა)  
A)  $216\text{სმ}^2$  B)  $432\text{სმ}^2$  C) ასეთი სამკუთხედი არ არსებობს
- ორი მარტივი რიცხვის ჯამი მათსავე სხვაობაზე 22-ით მეტია. რას შეიძლება უდრიდეს მათი ნამრავლი? (5 ქულა)  
A) 91 B) 319 C) 247
- რამდენი %-ით შეიცვლება კვადრატის პერიმეტრი, თუ მის თითოეულ გვერდს გავადიდებთ 1.25-ჯერ? (6 ქულა)  
A) 20%-ით გაიზრდება B) 25%-ით გაიზრდება C) 100% -ით გაიზრდება
- რამდენი მთელი რიცხვია მოთავსებული  $3\sqrt{6}$ -სა და  $2\sqrt{36}$ -ს შორის? (6 ქულა)  
A) 4 B) 3 C) 2
- იპოვეთ გამოსახულების მნიშვნელობა :  $\frac{9^4 \cdot 27^6 \cdot 6^3}{2^3 \cdot 81^7}$  (6 ქულა)  
A) 3 B)  $\frac{1}{3}$  C)  $3^2$

### ბონუს დავალებები (8 ქულა) - კითხვები ფინანსური განათლებიდან

ტესტის მაქსიმალური ქულაა 50. ბონუს დავალებების ქულა ძირითადი დავალებების ქულას დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ძირითად ნაწილში ვერ დააგროვებს უმაღლეს ქულას.

- უნადლო გადახდის მაგალითია: (4 ქულა)  
A) თანხის გამოტანა ბანკომატიდან  
B) თანხის სადებეტო ბარათით გადახდა  
C) კინოს ბილეთების შექმნა ნაღდი ფულით
- სამოგზაუროდ საფრანგეთში აპირებ წასვლას და 900 ლარი გაქვს. გაცვლითი კურსია: 1 ევრო = 3.0 ლარი. რამდენი ევრო გექნება ლარის ევროში კონვერტაციის შემდეგ? (4 ქულა)  
A) 180 ევრო B) 300 ევრო C) 2700 ევრო